პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 37 (14033) | ოთხშაბათი, 14 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

სახალხო კონტროლიორი — შრომითს ვახტზე

კარგი მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა.

საწარმოს წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვს ქარხნის ამწყობი საამქროს ჩარჩოსთორევი განყოფილების ოსტატის, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის გ. გოცირიძის ბრიგადას, რომელიც ყოველთვის პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. შარშან ბრიგადამ იკისრა დაეზოგა 7 ათასი მანეთის შავი და ფერადი ლითონი და მით გეგმის გადამეტებით შეეკეთებინა 2 ორთქლმავალი.

გ. გოცირიძის ბრიგადამ პირობა გაანაღდა. გეგმით გათვალისწინებული 20 ორთქლმავლის ნაცვლად შეაკეთა 22 ორთქლმავალი.

წელს ბრიგადის წევრებმა, რომლებიც ხუთწლედის შრომითს ვახტზე დგანან, ვალდებულება იკისრეს დაზოგონ რამდენიმე ათასი მანეთის ფერადი და შავი ლითონი და გეგმის გადამეტებით გამოუშვან ორი ორთქლმავალი.

ხუთწლედი — ვადაზე ადრე!

ახალი კარიერი

ჭიათურა. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. პ. ჭიოკაძე). გუშინ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში საზეიმო განწყობილება იყო. მაღაროს კლუბში შეიკრიბნენ საწარმოს მოწინავე ადამიანები, რომლებმაც შარშან თავი ისახელეს და წელსაც ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ ქვეყანას მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი. მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ცირეკიძემ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორს ვ. სამხარაძეს შეკრებილთა ტაშის გრიალში გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მაღარომ საიუბილეო წლის მეოთხე კვარტალში მიღწეული მაჩვენებლებისათვის მოიპოვა.

გუშინ ამავე მაღაროში გაიხსნა მაღნის მოპოვების ახალი კარიერი და საკამრო-საბაბირო გზა, რომელიც ყოველდღიურად 300 ტონა პეროქსიდის მადნის ნედლეულს მიაწოდებს გამამდიდრებელ ფაბრიკას.

გაიმარჯვეს მეკავეჯეებმა

საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამშუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა 1967 წლის მეოთხე კვარტალში დიდი წარმატებანი მოიპოვეს სრულად საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა დაიმსახურა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამშუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამშუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამშუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამშუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოებული არიან ბათუმის ბამბუკის გადასამუშავებელი ფაბრიკისა და თბილისის № 4 ავეჯის ფაბრიკის კოლექტივები.

მეორე ფულადი პრემია მიიღო ქუთაისის ავეჯის ფაბრიკამ, მესამე — თბილისის სარკის ფაბრიკის კოლექტივმა. (საქდესი).

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტების მუშაკებს, ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრებს, ყველა აქტივისტს

სახალხო კონტროლის ორგანოების 50 წელი

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად მოგესალმებიან და გილოცავენ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკებსა და ყველა აქტივისტს საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების შექმნის 50 წლისთავს.

კონტროლის ორგანოები, რომლებიც ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელში სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის საქმიანობის მოსაწესრიგებლად, საზოგადოების საქმეთა მართვაში მშრომელების ჩასაბმელად. კონტროლის ორგანოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

კონტროლის უფლება ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობაა, რომელსაც სოციალიზმი ანიჭებს მშრომელებს. ჩვენი სახელმწიფო უაღრესად დაინტერესებულია, რომ ჰქონდეს ფართო საზოგადოებრივი კონტროლი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახალხო კონტროლის ორგანოები პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცნენ დიდ საზოგადოებრივ ძალად, მათს საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს მილიონობით მუშა, გლეხი, ინტელიგენცია, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კონტროლის მასობრიობა, მისი სისტემატური განხორციელება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, ფართო საჯაროობა საშუალებას აძლევს სახალხო კონტროლის ორგანოებს ეფექტიანი დახმარება გაუწიონ პარტიასა და სახელმწიფოს სოციალისტური ეკონომიკის ყოველმხრივი აღმავლობისათვის, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჩაუნერგონ საბჭოთა ადამიანებს ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობა, თვითეული მოქალაქის მაღალი პასუხისმგებლობა საზოგადოების საქმეებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკები კვლავაც თავდადებით ემსახურებიან კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ და კეთილშობილურ მუშაობაში საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პარტიისა და ხალხის სამსახურში

მ. კუჭავა,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ნახევარი საუკუნეა ჩვენი ქვეყნის კონტროლის ორგანოები ეწევიან დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მუშაობას, ერთგულად ემსახურებიან საბჭოთა ხალხს, ლენინის დიად პარტიას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილი კონტროლის ორგანოები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად იქცა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის სრულყოფისათვის, ქვეყნის საქმეების მართვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის ბრძოლაში. კონტროლის ორგანოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცების, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების საქმეში.

საბჭოთა წყობილების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებასთან, შინაგანი კონტრრევოლუციისა და ინტერვენტებისაგან ჩვენი სამშობლოს დაცვასთან, სახალხო მეურნეობის აღდგენასთან, ქალაქად და სოფლად მომმდარ სოციალისტურ გარდაქმნებთან დაკავშირებული ამოცანების ზრდის შესაბამისად პარტია ახორციელებდა საჭირო ღონისძიებებს კონტროლის სრულყოფისათვის, მისი მასობრიობისა და ქმედითობის ამაღლებისათვის.

პარტია დიდი მომთხოვნელობით ეკიდებოდა კონტროლის ორგანოების აპარატის ფორმირებასა და ხელმძღვანელთა შერჩევას. სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნის საკონტროლო ორგანოებს სათავეში ედგნენ პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეები ამხანაგები სტალინი, კუიბიშევი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, შვერნიკი, რუდუტაკი, იაროსლავსკი და სხვები.

მოიპოვა რა გამარჯვება დიდ სამამულო ომში და განახორციელა გიგანტური მუშაობა მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით დაამთავრა სოციალიზმის მშენებლობა და დაიწყო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების აღდგენისათვის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად პარტიამ საჭიროდ მიიჩნია დემოკრატიულ საფუძვლებზე გარდაექმნა აგრეთვე სახელმწიფო კონტროლი ჩვენს ქვეყანაში.

1962 წლის დამლევს შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, რომლებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის, სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის, სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებისა და კონტროლის საქმეში კომუნისტთა და უპარტიოთა ფართო მასების ჩაბმისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებამ, რომლითაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები გარდაიქმნა სახალხო კონტროლის ორგანოებად, შემდგომ განავითარა ლენინური იდეები მასობრივი, ყოვლისმომცველი კონტროლის შესახებ.

პლენუმმა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის მთავარ ამოცანად დასახა დახმარება გაუწიონ პარტიასა და სახელმწიფოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების ფაქტიური შესრულების სისტემატურ შემოწმებაში. კომუნისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, სოციალისტური ეკონომიკის ყოველმხრივი აღმავლობისათვის ბრძოლაში, სახელმწიფოებრივი დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება ერთხელ კიდევ იმის დადასტურებაა, რომ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც ხალხის ინტერესებისა და ნების გამომხატველია, ყველა უფლება, მათ შორის კონტროლის უფლებაც, ეკუთვნის თვით ხალხს, როგორც ქვეყნის ერთადერთ ბატონ-პატრონს. ეს სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობას საფუძვლად უდევს ცხოვრებით შემოწმებული ლენინური პრინციპები კონტროლისა, პარტიის ორგანიზატორული მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

სახალხო კონტროლის ორგანოები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით, ახორციელებენ რა მათთვის დაკისრებულ ამოცანებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შესამოწმებლად და ასრულებენ სახელმწიფო ფუნქციებს, ემყარებიან მილიონობით მშრომელს — სახალხო კონტროლიორებს, რომელთა საქმიანობა საზოგადოებრივი ხასიათისაა.

მასობრივი შემოწმებები და დათვალიერებანი, საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა, მჭიდრო კონტაქტი საბჭოთა დეპუტატთა კომისიებთან, პროფკავშირებთან, კომკავშირთან — აი, ის გზები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც აღწევენ სახალხო კონტროლის ორგანოები შემოწმებების ეფექტიანობას.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ მომჭირნეობა და უაირათიანობა ხუთწლედისათვის დაგეგმილი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიღწევის აუცილებელი პირობაა. ეს მოითხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა ფართოდ მიმდინარეობს გადასვლა სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ამიტომ საქართველოს სახალხო კონტროლიორთა 175-ათასიანი არმიის მთავარი ყურადღება ახლა დათმობილი აქვს საფუძველთა საფუძველს — სამეურნეო ცხოვრებას, წარმოებისა და განაწილების სფეროს, მეთ სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებას. სახალხო კონტროლის ორგანოებს მომჭირნეობისა და უაირათიანობისათვის ბრძოლა მიაჩნდათ და მიაჩნიათ არა ხანმოკლე კამპანიად, არამედ მუდმივ სამუშაოდ, რომელიც საბოლოო ხნგარიშით ისახავს არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკურ მიზანსაც — შთაუნერგოს თითოეულ მშრომელს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობა.

სახალხო კონტროლის ორგანოების ინიციატივითა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ჩვენს რესპუბლიკაში გაანალიზებულ იქნა ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიური ეფექტის მოიტანეს. გასულ წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სახალხო კონტროლიორთა აქტიური მონაწილეობით დაზოგილია 178 მილიონ კილოვატსათზე მეტი ელექტროენერგია.

სახალხო კონტროლის ორგანოები სისტემატურად მუშაობდნენ ლითონის ჯართის დამზადების საკითხებზე. შარშან რესპუბლიკაში გეგმის გადამეტებით დამზადებულია 14,8 ათასი ტონა ლითონის ჯართი, რაც 800 ტონით ჭარბობს დამატებით დავალებას.

საიუბილეო წლის მოსავლის აღების დროს სახალხოლიორებმა, ოფლის სახალხო კონტროლიორებმა. მათ კარგი წვლილი შეიტანეს მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კონტროლიორებმა ეფექტიანი მუშაობა განახორციელეს საწვავის მომჭირნეობის თვალსაზრისით პარტიისა და მთავრობის მითითებების შესასრულებლად — 1967 წელს დაზოგილია 15 ათას ტონაზე მეტი დიზელის სათბობი.

როცა მომჭირნეობისა და უაირათიანობისათვის ბრძოლას ვეხებით, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სახალხო კონტროლის ორგანოები არ კმაყოფილდებიან ნაკლოვანებათა და დარღვევათა ფაქტების აღნუსხვით. არსებული მდგომარეობის გულდასმით შესწავლა, ეკონომიური ანალიზი საშუალებას აძლევს მათ ბევრ შემთხვევაში გამოავლინონ ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის დამატებითი რეზერვები.

აი, ამის რამდენიმე მაგალითი. რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოთა შემოწმების დროს გამოირკვა, რომ კაპრონის ნაწარმის გამოსაშვებად საჭირო ხაოს დამზადებისათვის იყენებდნენ კონდიციურ ვისკოზურ აბრეშუმს, მაშინ როცა საწარმოებს დიდძალი ვისკოზის ნარჩენები ჰქონდათ. შემოწმების შედეგად კონდიციური ვისკოზური აბრეშუმი შეიცვალა ნარჩენებით, რამაც წელიწადში დაზოგა 4 ტონა ძვირფასღირებული ნედლეული.

საქართველოს სსრ მრეწველობასა და მშენებლობაში ცემენტის ხარჯვის მდგომარეობის შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინებინა ცემენტის გადახარჯვის მიზეზები და დაგვესახა ღონისძიებანი, რათა უახლოეს ხანში მივაღწიოთ ამ მიზეზების ლიკვიდაციას, რომლებიც ყოველწლიურად ფაქტიურად დაახლოებით 70 ათასი ტონა ცემენტის გადახარჯვას იწვევენ.

მომჭირნეობის რეზერვები ვლინდება მრეწველობის სხვა დარგებშიც — მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში.

პარტიამ გამოსახა შესრულების შემოწმებაში მონაწილეობისათვის მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის შესანიშნავი ფორმა — სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც შექმნილია და მოქმედებენ პრაქტიკულად ყველა საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მშენებლობაზე, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. ნაყოფიერი მუშაობის მაგალითს გვიჩვენებს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომლის თავმჯდომარეა ამხ. მ. სიჭინავა. მომჭირნეობისა და უაირათიანობისათვის მოძრაობას ამ საწარმოში სწორედ სახალხო კონტროლის ჯგუფი ჩაუდგა სათავეში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია — 1967 წელს დაზოგილია 348 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1162 ტონა პირობითი სათბობი, ასობით ტონა ლითონი და ნაგლინი, წარმოებში დაინერგა 90 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომია 22.530 მანეთს შეადგენს.

ასევე შემოქმედებითად მუშაობს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების უმრავლესობა, რომელთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში 27 ათასს აღწევს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჯგუფი და საგუშაგო ერთნაირი აქტივობით როდი მუშაობს. უფრო მეტიც, სამწუხაროდ, გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც პასიურობას იჩენენ მუშაობაში. ამოცანა ის არის, რომ თითოეული ჯგუფი და საგუშაგო გადავაქციოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში აქტიურად მოქმედ ძალად.

მუდმივი და მჭიდრო კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, გულისხმიერი დამოკიდებულება მათი წინადადებების, წერილებისა და სიგნალებისადმი, ყოველივე იმისადმი, რასაც ხალხის ინიციატივა წარმოშობს, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის კანონია. მშრომელთა მასებთან სახალხო კონტროლის ორგანოების მჭიდრო კავშირის ერთობ მკაფიო დადასტურებაა ის, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში მარტო ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტებს ამა თუ იმ საკითხებზე წერილებითა და განცხადებებით მიმართა დაახლოებით 120 ათასმა მოქალაქემ. მათი უმრავლესობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ზრუნავს და გვაცნობებს უყაირათობის, უკანონობის, ბოროტმოქმედების ფაქტებს, მიგვითითებს სახალხო მეურნეობის წიაღში არსებულ რეზერვებზე. ასეთ წინადადებებს სახალხო კონტროლის ორგანოები მთელი გულისყურით ეკიდებიან, ისინი შესწავლისა და განხილვის საგანი ხდება. მაგრამ აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ გვხვდება საჩივრებისა და წინადადებებისადმი ზერელე დამოკიდებულების ფაქტები. ამას გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მასებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, მათთან სიახლოვე, ამა თუ იმ მუშაკის პირადი საქმე კი არ არის, არამედ ლენინური პარტიის მოღვაწეობის, კომუნისტის მუშაობის ძირითადი პრინციპია.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკები, სახალხო კონტროლიორები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით კვლავაც ერთგულად ემსახურებიან კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, აქტიურად იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის, განახორციელებენ მტკიცე კონტროლს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სახელმწიფო გეგმების და დავალებების განუხრელად შესრულებისადმი.

ეს მოხდა გუშინ

პირველი რეისი

ბათუმი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. მ. გორგიშაძე). ბათუმელები კარგად იცნობენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თითქმის ყველა ხომალდს, რომლებიც იტვირთება და იცლება ბათუმის ნავსადგურში. თეთრად მოქაჭათე გეგმერთელა ხომალდები გარკვევით ჩანს სანაპირო ქეიჩიდან, სადაც მუდამ ირევა ხალხი.

ამ რამდენიმე დღის წინათ ნავსადგურს მოადგა ახალი საოკეანო ტანკერი „ჭორი“. უმალვე ცნობილი გახდა, რომ იგი საქართველოს სანაოსნოს ეკუთვნოდა.

ეს ახალი საოკეანო ტანკერი საბჭოთა კავშირს დაკვეთით აშენდა იუგოსლავიაში. მ თებერვლიდან მასზე აღიმართა საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი და აი მან პირველად ჩაუშვა ღუზა ბათუმის ნავსადგურში.

ხომალდის კაპიტანმა ვ. ბრუმოვმა აღნიშნა, რომ ტანკერმა გამოცდა ფრიადზე ჩაიბარა. მისი სიგრძე 186 მეტრია. მუშაობს 12 ათას ცხენისძალიანი დიზელით და აღჭურვილია თანამედროვე სანავიგაციო საშუალებებით.

ტანკერი „ჭორი“ დაიტვირთა საწვავით და გუშინ თავის პირველ რეისზე კურსი ბერმანეთის ფედერაციული რესპუბლიკისაკენ აიღო.

ასკანგელი — ასუანის მშენებლებს

მახარაძე. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც კარგი შედეგით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი, იანვარსა და თებერვლის ათ დღეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 200 ტონა ასკანგელი. გუშინ ეს პროდუქცია გაიგზავნა არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში ასუანის კაშხალის მშენებლობაზე.

როგორც მაღაროთა სამმართველოს დირექტორმა ბ. ანთაძემ განაცხადა, თებერვალში ასუანის მშენებლებს კიდევ გაუგზავნიან 1.500 ტონა დაფქულ ასკანგელს, რომელსაც წყლის ფილტრაციისათვის იყენებენ.

პ. ე. შელესტი.

ამზანავ პეტრე ექვთიმეს-ძე შელესტს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავთ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების სამოც წლისთავს.

გისურვებთ, პეტრე ექვთიმეს-ძევ, დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. პ. ე. შელესტისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. პ. ე. შელესტის დიდი დამსახურებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე და დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით ამხ. პეტრე ექვთიმეს-ძე შელესტს მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1968 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. პ. მ. მაშეროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, „ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პეტრე მირონის-ძე მაშეროვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1968 წ. 12 თებერვალი.

სსრ კავშირის კონტროლის ორგანოების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსკოვის კრება

შესრულდა 50 წელი ჩვენს ქვეყანაში კონტროლის ორგანოების შექმნის დღიდან, რომლებიც ამჟამად თავიანთ რიგებში აერთიანებენ მილიონობით სახალხო კონტროლიორს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სიამდო თანაშემწეებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

13 თებერვალს მოსკოვში, კრემლის თეატრის შენობაში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა და აქტივის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა დორსშესანიშნავ თარიღს.

მოკლე შესავალი სიტყვით კრება გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. ბრომისლოვმა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ს. სოლომენცევს. ზეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტთა მუშაკებისადმი, ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრებისადმი, ყველა აქტივისტისადმი, რომელიც კრებაზე წაიკითხეს.

მოხსენება „50 წელი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე“ წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. კოვალოვმა.

(საკდესი).

უ. ტანი ეწვია ნ. ვ. პოდგორნის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი 12 თებერვალს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

ნ. ვ. პოდგორნისა და უ ტანს შორის გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება მთელ რიგ თანამედროვე საერთაშორისო პრობლემებზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი მოსკოვიდან გაემგზავრა

12 თებერვალს მოსკოვიდან ლონდონს გაემგზავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი. (საკდესი).

შეხვედრა კრემლში

12 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მუდმივი წარმომადგენლობის მეთაური საბჭოთა კავშირში დანგ კუანგ მინი და ესაუბრა მას. საუბარმა მეგობრულ და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დავალებით დანგ კუანგ მინმა ნ. ვ. პოდგორნის უმამრთ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიისა და პარტიზანების აქტიური ოპერაციების შესახებ, რომლებიც ფართო მასების მხარდაჭერით გაბედულად უტევენ ამერიკელ ინტერვენტთა და მათ საიგონელ ლაქიათა ჯარებს. განმათავისუფლებელი ბრძოლა ახალი აღმავლობის გზაზეა, ფართოვდება პატრიოტული ძალების ბანაკი, რომლებიც განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან ერთად იბრძვიან მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ნეიტრალური სამხრეთ ვიეტნამისათვის.

ნ. ვ. პოდგორნიმ სამხრეთ ვიეტნამის თავისუფლებისმოყვარე ხალხს, რომელიც განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დროშით იბრძვის, უსურვა შემდგომი წარმატებანი და განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხის სიმპათიები სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტთა მხარეზეა.

აგრეთვე აღინიშნა, რომ თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა კავშირი კვლავაც დაეხმარება და მხარს დაუჭერს მოძმე დემოკრატიულ ვიეტნამის რესპუბლიკას იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებაში.

დანგ კუანგ მინმა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა ხალხს იმ თანმიმდევრული და მტკიცე მხარდაჭერისათვის, რომელსაც სამხრეთვიეტნამელ ხალხს უწევენ ამერიკელ დამპყრობთა და მათ საიგონელ მარionეტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონტროლი ქმედითი, მასობრივი

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან ცოტა ხნის შემდეგ — 1918 წლის 31 იანვარს გამოიცა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი ცენტრალური საკონტროლო კოლეგიისა და კონტროლის ადგილობრივი ორგანოების შექმნის შესახებ. ამით დასაბამი მიეცა კონტროლის ორგანოებს საბჭოთა სახელმწიფოში.

აქტივი კონტროლის ძალაა

სადაც უნდა შეიხედოთ, საწარმოთა სამეურნეოებში თუ ახალშენებლობებზე, სავაჭრო თუ ტრანსპორტო ორგანიზაციებში, კულტურულ თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებში — ყველგან შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც მარტო თავიანთი უშუალო სამუშაოთი როდი არიან გართულნი. ისინი თვალყურს ადევნებენ იმასაც, თუ როგორ იქცევა გვერდით მომუშავე ამხანაგი, რა მდგომარეობაა, რა ნაკლია შრომისა და ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე, რა ზით შეიძლება გამოსწორდეს უყაირათობა, დანაშაული თუ ნაკლი, პირველ რიგში კი ფიქრობენ ნაკლის, დანაშაულის თავიდან აცილებისათვის პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე.

ეს ჩვენი სახალხო კონტროლიორები არიან, მშრომელთა ფხიზელი მეთვალყურენი.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ფართოდ მონაწილეობს აქტივი სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში, საკმარისია ვთქვათ, რომ ყოველი მეათე სოხუმელი სახალხო კონტროლიორის სატიტო მოვალეობას ასრულებს.

აქტივის ფართოდ მონაწილეობას კი ყოველ საქმეში კეთილი შედეგები მოაქვს. ასეა ჩვენთანაც, ქალაქ სოხუმში, სადაც სახალხო კონტროლიორთა მეცდინეობით მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში დაზოგილია ათასობით ტონა საწვავი, ლითონი, საშენი მასალები, სამრეწველო ნედლეული, აგრეთვე დიდი ფულადი სახსრები.

ვინ მოთვლის იმ მასობრივ შემოწმებათა და დათვალიერებათა რაოდენობას, რაც ჩვენი ქალაქის კონტროლის ორგანოებმა განახორციელეს თავიანთი არსებობის არცთუ ისე დიდი ხნის მანძილზე. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მარტო გასულ წელს მასობრივ დათვალიერებათა დროს შემოვიდა კონტროლიორთა 450-მდე რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან უმრავლესობა წარმოებაში დაინერგა. ამ წინადადებებიდან მიღებული საერთო ეკონომიური ეფექტი 830 ათას მანეთს შეადგენს.

მაგრამ მასობრივ დათვალიერებათა ყველაზე ძვირფასი შედეგი ის არის, რომ გაუმჯობესდა თვით ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა, მუშა-მოსამსახურეთა დამოკიდებულება წარმოებისადმი. პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები უფრო ღრმად ჩასწვდნენ ეკონომიკას, ამაღლდა წარმოების კულტურა.

მაგალითად, სახალხო კონტროლიორებმა მეტად სასარგებლო დახმარება გაუწიეს სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ხელმძღვანელობას და პარტიულ ორგანიზაციას. გასულ წელს აქ მარტო ელექტროენერგიის ეკონომიამ თითქმის ორნახევარი მილიონი კილოვატ-საათი შეადგინა, ხოლო საწვავისამ — 48 ტონა.

უყაირათობასთან ბრძოლაში ბევრი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა „გრეთვე ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, ქარხანა „სოხუმხელსაწყოში“, ქალაქის საზღვაო პორტში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

კონტროლის საქალაქო კომიტეტი, ჯგუფები და საგუშაგოები მუდმივად არიან დაინტერესებულნი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო და კომუნალური მომსახურებით. ამიტომ არის, რომ მასთან დაკავშირებული საკითხები მრავალგზის შეეხება პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს განსახილველად, რასაც ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვა.

რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, რაც სახალხო კონტროლიორებმა გააკეთეს. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქალაქის სისხლსავსე ცხოვრების ბევრი უბანი ჩვენს აქტიურ მოქმედებას, სახალხო კონტროლიორთა მზრუნველ ხელს მოელის. მაგალითად, საქალაქო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. შეუწყნარებელია ისიც, რომ ზოგ საწარმოში ადგილი აქვს კაპიტალური რემონტის საშუალებათა ხარჯზე „კაპიტალური მშენებლობის წარმოებას, სათანადო საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციების უქონლად ნაგებობათა მიშენებას, რაც აგრეთვე არქიტექტურული თვალსაზრისით გაუმართლებელია.

ამ და სხვა მავნე ფაქტების წინააღმდეგ საჭიროა თვითეული ჩვენი სახალხო კონტროლიორის მეტი სიბეჯითე, აქტიურობა და შეუპოვრობა.

მ. მაძაცარია,
სახალხო კონტროლის სოხუმის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

ციფრები და ფაქტები

● **რესპუბლიკის** სახალხო კონტროლის ორგანოებში მუშაობს სახალხო კონტროლის 7.013 ჯგუფი და 19.856 საგუშაგო.

● **ჯგუფებში** გაერთიანებულია 100.774 სახალხო კონტროლიორი, ხოლო საგუშაგოებში — 75.010.

● სახალხო კონტროლის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილია 618 შტატგარეშე განყოფილება, რომლებშიც მუშაობს 5.674 შტატგარეშე ინსპექტორი.

სახალხო კონტროლის აქტივისტები

მთავლი გულით

სურათზე: თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის სამანქანო საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან) ელექტროშეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ხატიაშვილი, ელექტროშეინკალი მ. დიომკინი და ხარატი ტ. ქემოკლიძე ამოწმებენ საწევი ძრავის „ტლ-2კ“ აწყობის ხარისხს.

ფოტო ს. კილაძისა.

ბრძანებულება

სახალხო კონტროლის აქტივისტთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო კონტროლის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აკირტავა** ირმა ნიკოლოზის ასული — სოხუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის წევრი.
2. **ალბოროვი** ლევან ალექსანდრეს-ძე — საწარმო „საქტალის“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
3. **არეკავა** ეკგენი მიხეილის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
4. **არველაძე** შოთა ილიას-ძე — ახალციხის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
5. **ალიანი** ამიაკ გრიგოლის-ძე — ბოლნისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
6. **ალასაროვი** გრიგოლ კარაპეტის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
7. **ბახსოლიანი** არდეგან დომენტის-ძე — ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
8. **ბეგლარიანი** ვაგან ნიკოლოზის-ძე — რუსთავის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ბიუროს გამგე.
9. **ბიბილოვი** სულთანბეგ მიხეილის-ძე — ცხინვალის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
10. **ბოჯგუა** დავით პროკოფის-ძე — ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანას კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
11. **ბუაძე** აკაკი ალექსანდრეს-ძე — ბათუმის რაიონის გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
12. **გაბუნია** შალვა ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
13. **გეგეჭკორი** მერაბ ვლადიმერის-ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
14. **გელაშვილი** სერგი სერგის-ძე — თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
15. **გვასალია** ვლადიმერ ტარასის-ძე — ხაშურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
16. **გინგაშვილი** დიმიტრი ქიტესას-ძე — გარდაბნის რაიონის სარფიქალის მეგობლეობა-მერქანეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
17. **გოგსაძე** სპირიდონ ნიკოლოზის-ძე — თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
18. **გოლოძე** მიხეილ რაჟდენის-ძე — ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი.
19. **დალაქიშვილი** გიორგი იაკობის-ძე — გორის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
20. **დარსანია** აკაკი ივანეს-ძე — ზუგდიდის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
21. **დიასამიძე** ლიანა მურადის ასული — ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
22. **დრიაევი** ენენგაზ ადამის-ძე — ლენინგორის რაიონის სოფელ ორქოსანის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
23. **ეპრიკიანი** რაფიკ ბაგორის-ძე — ახალქალაქის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
24. **ზაგოროდნევი** ვასილ ზაქარიას-ძე — გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
25. **თავაძე** კაპიტონ ლევანის-ძე — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
26. **თოხვაძე** სერგო ვასილის-ძე — მცხეთის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
27. **ტურძელაძე** კლიმენტი თადეოზის-ძე — ამბროლაურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
28. **კაპანაძე** ალექსანდრე გრიგოლის-ძე — აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
29. **კარაევი** ჰასან კარა ოღლი — მარნეულის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
30. **კვირენჩხილაძე** მეგი ნოეს ასული — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
31. **კვიწინაძე** ვასილ ალექსანდრეს-ძე — გორის რაიონის სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
32. **კიკაჩეიშვილი** იაკობ გრიგოლის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სავაგონო დეპოს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
33. **კოკუაშვილი** შალვა ვასილის-ძე — სიღნაღის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
34. **ლაზარაშვილი** გიორგი ივანეს-ძე — თბილისის ლენინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
35. **ლეჟავა** შალვა მიხეილის-ძე — თბილისის ელმავალსამშენებელი ქარხნის სამმეცდლო საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
36. **ლომინაძე** შალვა პაველეს-ძე — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
37. **ლურსმანაშვილი** ნელი ივანეს ასული — თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
38. **მაღლაკელიძე** არადი გრიგოლის-ძე — ქუთაისის აბრეშუმკომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
39. **მელაძე** ბეჟირ ისაკის-ძე — ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბერის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
40. **მელაძე** ნადეჟდა ანტონის ასული — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
41. **მიქაბერიძე** ტარიელ ვლადიმერის-ძე — ბორჯომის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
42. **მურვანიძე** აკაკი ანდრიას-ძე — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
43. **ნადირაძე** ნარგიზა სანდროს ასული — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
44. **ნაკაშიძე** დავით დიმიტრის-ძე — სამხრეთ-ოსეთის ა/ო სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
45. **ნარუშვილი** ლუბა ალექსის ასული — ოჩამჩირის რაიონული პოლიკლინიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
46. **ოკუჯავა** ისიდორე ივანეს-ძე — ფოთის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
47. **ონიანი** ბუღია ირიდიონის-ძე — ლენტეხის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
48. **პაქსაშვილი** შალვა ლუკას-ძე — ჭიათურის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
49. **პოლიტრონოვი** ალექსი პორფილეს-ძე — წალკის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
50. **საბულია** კოდრატე ლოთოს-ძე — გალის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
51. **სალაძე** შალვა მიხეილის-ძე — ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
52. **სანაკოევი** ეკალდი ასლანის-ძე — ჯავის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
53. **საყვარელიძე** შოთა ნიკოლოზის-ძე — წყალტუბოს რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
54. **სკაჩკოვი** ალექსი ივანეს-ძე — დმანისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
55. **სოტიშვილი** დიმიტრი ლავრენტის-ძე — სოხუმის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
56. **ტეპეტოვი** დემიან ხარალამპის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელნახშირის“ № 2 შახტის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
57. **ფილიშვილი** ალექსანდრე ვლადიმერის-ძე — გურჯაანის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
58. **ქართველიშვილი** ოსიფ ვასილის-ძე — ქასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
59. **ქადაგიძე** ივანე დავითის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
60. **ქორთუა** არჩილ ანდრონიკის-ძე — ტრესტი „საქართველოს ჩაის“ ზუგდიდის მექანიკური კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
61. **ღორთქლიშვილი** თინათინ ზაქარიას ასული — საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
62. **შავგულიძე** რაფიელ ბესარიონის-ძე — ყვარლის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
63. **შალაშვილი** გრიგოლ ლეონარდის-ძე — დუშეთის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
64. **შახნაზაროვი** რაფიელ არტემის-ძე — „საქწავთობმშრომელებისა-გასა ე ტ ი“ ბათუმის ცენტრალური ბაზის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
65. **ჩერნიავსკი** ვლადიმერ ალექსის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
66. **ნულაია** ბაბილინა ალექსანდრეს ასული — გეგეჭკორის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
67. **ჭეიშვილი** ქეთევან კონდრატეს ასული — თბილისის საკონდიტრო კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
68. **ჭელიძე** გივი კალისტრატეს-ძე — ტყიბულის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
69. **ჭინჭარაული** ხვთისო ივანეს-ძე — თიანეთის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
70. **ჭოჭოშვილი** ილია კონსტანტინეს-ძე — ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხის ა. ყაზბეგის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
71. **ჭერაშვილი** თამარ ალექსის ასული — თელავის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე.
72. **ჭუმბურიძე** ირაკლი პაველეს-ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.
73. **ხინკაძე** მამუდ ოსმანის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
74. **ჯორკოშვილი** ქეთევან ოსიფის ასული — წითელწყაროს რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე.
75. **ჯოხაძე** ვარდო ვიქტორის ასული — მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.
76. **ჯოხაძე** ვახტანგ დომენტის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. კოზენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. აპაჰაძე

თბილისი, 1968 წლის 18 თებერვალი.

საპატიო მოვალეობა

ეს იყო ამ ოცდათვრამეტი წლის წინათ. 1920 წლის ბოლოს ჯერ კიდევ ახალგაზრდამ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში დავიწყე მუშაობა. მაშინ ჩვენში რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის, ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის შეუპოვარი ბრძოლა წარმოდდა.

ვეტერანის მოგონება

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი, ცენტრალური საკონტროლო კოლეგია და მისი ძირეული ორგანიზაციები თავიდანვე ენერგიულად ჩაებნენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

კომისარიატის სოციალური კულტურისა და საბჭოთა აპარატის განყოფილებას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, დავალებული ჰქონდა მეთვალყურეობა გაეწია მთელი საბჭოთა აპარატის მუშაობისათვის. აღნიშნულ ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხები ხშირად ირჩეოდა კომისარიატის კოლეგიის სხდომებზე.

ჩვენი განყოფილება ხელმძღვანელობდა იმ კომისიების საქმიანობას, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა მაშინ საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესების და მისი ბიუროკრატიული და მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან წმენდის ან გადაადგილების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

**ამ მიზნით ხელმძღვანელობდა ინსპექციის ბიუროს ბიუროს ბიუროს

ახალი პროგრამა

მუშებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის

ბერლინი, 13 თებერვალი, (საკ.). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა გუშინ მიიღო გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მაქს რაიმანის მეთაურობით. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ ვალტერ ულბრიხტს გადასცა გერმანიის კომპარტიის ახალი პროგრამის პროექტი.

როგორც თავის განცხადებაში აღნიშნა მაქს რაიმანმა, გერმანიის კომუნისტური პარტია ახალ პროგრამაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მშრომელს აძლევს მონოპოლისტური კაპიტალის დასავლეთგერმანული სისტემისა და მისი აგრესიული პოლიტიკის დემოკრატიულ ალტერნატივას. გერმანიის კომპარტიამ პროგრამის ახალ პროექტში შეიტანა მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, პროფკავშირების, სოციალ-დემოკრატების, ქალებისა და ახალგაზრდობის ბევრი წინადადება: პროგრამა საფუძველს ქმნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელი პროგრესული ძალების ერთიანი მოქმედებისათვის, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობის შენარჩუნებას და დემოკრატიულ პროგრესს. ახლა, აღნიშნა რაიმანმა, პოლიციური ტერორის მიუხედავად, დაიწყება ამ პროგრამისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მისი განხორციელების გზების ფართო განხილვა. „ამჟამად ჩვენი ამოცანა ის არის, — ხაზგასმით აღნიშნა რაიმანმა, — რომ ვიბრძოლოთ ამ პროგრამის თავისუფალი განხილვის უზრუნველყოფისათვის, გერმანიის კომპარტიის მოქმედების თავისუფლებისათვის“.

„მართო ის ფაქტი, რომ გერმანიის კომპარტიამ თავიანი პროგრამა განსახილველად წარუდგინა დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასს და მთელ ხალხოვანებრიობას, მოწმობს გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის დემოკრატიულ ხასიათს“, — განაცხადა საპასუხო სიტყვაში ვალტერ ულბრიხტმა. „გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — თქვა მან, — დიდად აფასებს გერმანიის კომპარტიის პროგრამის პროექტს, რადგან მასში მოცემულია ნამდვილი დემოკრატიული ალტერნატივა ფედერაციული რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის. იმ დროს, როდესაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ადამიანი ეძებს პასუხს ოანამდროვეობის გადაუდებელ საკითხებზე, გერმანიის კომუნისტური პარტია გამოდის პროგრამით, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის სჭმისათვის მებრძოლი მთელი ძალების გაერთიანებას“. პროგრამის პროექტის წინადადება, რომ გაერთიანდნენ მთელი დემოკრატიული ძალები, პროფკავშირები, კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და ქრისტიანები, მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, ქალები, ახალგაზრდობა და ინტელიგენცია, აღნიშნა ვალტერ ულბრიხტმა, ნამდვილად ისტორიული მოვლენაა.

ბონი ცდილობს...

ბონი, 12 თებერვალი. (საკ.). დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის თავდაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ფრიდრიხ ციმერმანი გამოვიდა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროექტის წინააღმდეგ, რომელსაც 18 სახელმწიფოს განიხილავენ ჟენევის კომიტეტში ახლავე. სამხედრო კვლევის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში ციმერმანმა განაცხადა, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტის განსახილველად შეტანილი ხელშეკრულების პროექტი „საფრთხეს უქმნის დასავლეთ ევროპის ქვეყნების უშიშროებას“.

• • •

საკ.-ის კომენტატორი ი. მასლოვი ამის გამო წერს: ციმერმანის გამოსვლა მიუხედავად, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები ცდილობენ რადაც უნდა დაუჭდეთ ხელი შეუშალონ ხელშეკრულების დადებას, რომელმაც მტკიცედ უნდა გადაუღობოს გზა მასობრივი გაქცევისა იარაღის გავრცელებას მთელ დედამიწაზე.

ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე თავდასხმებისათვის ბონელი პოლიტიკოსები მიმართავენ არაატომურ სახელმწიფოთა აშკარა დაშინებას, ისე ხატავენ მას, თითქოს რაღაც „სიფრთხეს უქმნიდეს უშიშროებას“. მაგრამ რა „საფრთხეზე“ შეიძლება იყოს ლაპარაკი, მაშინ როცა ხელშეკრულება სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ აღკვეთოს ატომური იარაღის გავრცელება. და თუმცა უკვე ბევრმა ახალმწიფომ მზარი დაუკირა ამ შეთანხმებას, ბონი მაინც განაგრძობს გაფთრებულ კამპანიას ასეთი შეთანხმების დადების წინააღმდეგ.

ამისათვის ბონში მიმართავენ ათასგვარ „საბუთსა“ და „საბაბს“.

ამასაც ამბობენ, რომ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეერთება ხელშეკრულებისათვის მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცევა მას ნატოში“, იმასაც, რომ არ ეთანხმებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და მე-3 მუხლის დებულებებს კონტროლის შესახებ.

ბონის დამოკიდებულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებისადმი გამოთქვა დასავლეთ გერმანიის კანცლერმა კიზინგერმა, რომელმაც განაცხადა: „ხელშეკრულების ახლანდელ პროექტში შეტანილი გაუმჯობესებანი, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მოგიწოროთ ეს ხელშეკრულება“. ბონის მთავრობის მეთაურს პასუხი გასცა დასავლეთგერმანულმა ბიულეტენმა „ბონერ კორესპონდენციმ“. თუ ბონს ხელშეკრულების პროექტი მიუღებლად მიაჩნია და ახალ მოსაზრებებს გამოთქვამს მის წინააღმდეგ, ამისათვის აქვს „სრულიად სხვა და არა ის მიზეზები, რომლებსაც ოფიციალურად იმოწმებს“.

გაუვრცელებლობის ხელშეკრულების წინააღმდეგ ბონის კამპანიის მთელი არსი ის არის, ხაზს უსვამს ბიულეტენი, რომ „დიდი კოალიციის“ მთავრობას „ჯერ კიდევ არ აუღია ხელი მისწრაფებაზე ხელთ იგდოს ატომური იარაღი“, ბონი სწორედ იმიტომ ცდილობს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დადების გაჭიანურებას ან ჩაშლას, რომ სურს ატომური იარაღით აღჭურვოს დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერი, რაც მკვეთრად გააძლიერებდა დაბაბულობას ევროპის ცენტრში.

საერთაშორისო სლოვაკეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა განაახლა

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. (საკ.). ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკამ „სერვეიორ-7“-მა განაახლა მუშაობა მთვარის ზედაპირზე მთვარის ღამის პერიოდში ორი კვირის „ძილის“ შემდეგ. როგორც ოფიციალურ პრეს ინტერნაციონალის საგენტო გვატყობინებს, „სერვეიორ-7“-მა მიიღო დედამიწის ხაზვალითვალო სადგურიდან გადაცემული კომანდა განეახლებინა მუშაობა. სათვალთვალო სადგურის ოპერატორებმა „სერვეიორის“ მზის ელემენტებიანი პანელები მზისკენ შეაბრუნეს, რათა დაიჭარებინათ ელექტროენერგიის მიწოდება მისი ბატარეების ხელახლა დასამუხტავად.

„სერვეიორ-7“ მთვარეზე გაუშვეს მიმდინარე წლის 7 იანვარს. მისი ექსპერიმენტების პროგრამაში მთვარის ნიადაგის სინჯის აღება და დედამიწაზე სატელევიზიო სურათების გადმოცემა.

ოკუპანტთა რეპრესიები

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. საკ.-ის კორესპონდენტი ბ. ლოსევი იუწყება: ისრაელი ოკუპანტები მასობრივ რეპრესიებს ხმარობენ არაბთა ტერიტორიებზე, რომლებიც ხელთ იგდეს ივნისის აგრესიის შედეგად, და ახორციელებენ, იმ რაიონებიდან მკვიდრი მოსახლეობის განდევნის წინასწარ მოფიქრებულ პოლიტიკას, რომელთა ანექსიასაც ისრაელი აპირებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლო აღმოსავლეთის საგენტოს წარმომადგენელთა მონაცემებით, რომელიც შექმნილია პალესტინელ ლტოლვილთა დასახმარებლად, 1967 წლის ივნისიდან მეოთხედ მილიონზე მეტ არაბ ლტოლვილთაგან 35 ათასი კაცი იძულებული იყო ოკუპანტთა რეპრესიების გამო დაეტოვებინა ღაზის რაიონი. მათგან დაახლოებით ოთხი ათასმა თავი შეაფარა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, ხოლო დანარჩენნი გადასახლეს მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე, რომელიც აგრეთვე დაკავებული აქვთ ისრაელის ჯარებს. „ისრაელის ხელისუფალნი, — წერს ყული—თითოეული ლტოლვილისაგან მოითხოვენ ხელი მოაწეროს განცხადებას, რომ ნებაყოფლობით მიდის და აღარასოდეს დაბრუნდება“.

მთელ დასახლებულ ადგილებს სპობენ „ტერორისტების“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით. „ტერორისტებს“ უწოდებს ეშკოლის მთავრობა არაბ პატრიოტებს.

ყული იმოწმებს ერთი თვითმხილველი ევროპელის ნაამბობს და იუწყება, რომ ამას წინათ „ავტომანქანა, რომელშიც იყო სამი ისრაელი კონტრაბანდისტი და კონტრაბანდა სიგარეტების ტვირთი, აფეთქდა ნაღმზე ჯებელლის ახლოს. ისრაელებმა დაუყოვნებლივ აქციეს ნანგრევებად ბედუინთა მეზობელი დასახლებული ადგილი.

არაბთა სახლებს, რომლებიც რაიმე ინციდენტის ადგილის მეზობლად აღმოჩნდებიან, დაუყოვნებლივ ანგრევენ. ღაზაში ვაჭდის ქუჩაზე აფეთქეს 12 სახლი მას შემდეგ, რაც ბავშვმა ერთ-ერთ სახლში ისროლა შუშხუნა. მცხოვრებლებს 10 წუთი მისცეს იმისათვის, რომ გასცლოდნენ ამ სახლებს.

ღონისძიებები, რომლებსაც მაოკუპირებელი ხელისუფალნი ახორციელებენ ღაზის რაიონში, ხაზგასმით აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით სარედაქციო სტატიაში „კრიზის საიენს მონიტორი“, შეუთავსებელია ჟენევის კონვენციის 35-ე მუხლთან, რომელიც კრძალავს კოლექტიურ რეპრესიებსა და საკუთრების მოსპობას.

ფარსი სალონიკში

ლონდონი, 13 თებერვალი. (საკ.). „ჩამწკრივდით ტროტუარებზე და მიესალმეთ, თუ არ გინდათ დაკარგოთ სამუშაო“ — ასეთი ბრძანება გასცეს ხელისუფლებმა, რომელიც სალონიკში გაგზავნეს საბერძნეთის სამხედრო ხუნტის მეთაურის პაპადოპულოსის იქ ჩასვლის წინ.

სალონიკში გაგზავნილი ბრძანება ვრცელდება ყველა მუნიციპალურ მუშასა და მოსამსახურეზე, ბანკის მუშაკზე, უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის სტუდენტზე. ადგილობრივი სკოლების მასწავლებლებს ქალაქის ტროტუარებზე უნდა გამოეყვანათ ყველა მოწაფე. აღნიშნულ კერძომნიაში მონაწილეობაზე უარის თქმისათვის მოსწავლენი გაირიცხებოდნენ სკოლიდან „შეუფერებელი ყოფაქცევისათვის“. ბრძანება აგრეთვე ითვალისწინებდა, თუ როდის და რომელ ქუჩაზე უნდა ჩამწკრივებულიყვნენ მოზრდილები და ბავშვები, რათა „მისალმებოდნენ“ სამხედრო ხუნტის მეთაურს.

ამ ფარსს აღწერს გაზეთი „მორნინგ სტარი“, რომელიც იმოწმებს საბერძნეთის ცენტრის კავშირის პარტიის პრესის განყოფილების ინგარიშს. ეს ანგარიში არალეგალურად ჩაიტანეს ინგლისში და გამოაქვეყნეს ოქსფორდის სტუდენტთა ჟურნალში.

ანგარიშში აგრეთვე ნათქვამია, რომ საბერძნეთის პატარა ქალაქებსა და სოფლებში მოწყობილ ასეთ ფარსებში მონაწილეობა უნდა მიიღოს უკლებლივ ყველა მცხოვრებმა.

ტელეტაიპის ლენტიდან

ისრაელი

ახალი პროვოკაცია

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი. (საკ.). დღეს დილით ისრაელის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს იორდანიის სათვალთვალო საგუშაგოს 4 კილომეტრზე ალ-მაჯამეის ხიდის სამხრეთით. ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს ამანელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს იორდანიის სამხედრო წარმომადგენლის განცხადებას.

იორდანიის მხარემ საპასუხო ცეცხლი დაუშინა. სროლა 30 წუთს გაგრძელდა.

აშშ

განაჩენი ჯეიმს გროპს

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. (საკ.). ქალაქ მილუოკის (ვისკონსინის შტატი) სასამართლომ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის აქტიურ მებრძოლს, მღვდელ ჯეიმს გროპს მიუსაჯა 500 დოლარი ჯარიმა და პირობითი პატიმრობა ორი წლის ვადით. თუ ამ ორი წლის განმავლობაში გროპი შეიმჩნევა „კანონის რაიმე დარღვევაში“, ნათქვამია განაჩენში, იგი „ავტომატურად“ მოხვდება საპატიმროში. ჯეიმს გროპი შარშან აგვისტოში დაპატიმრეს მილუოკში, სადაც მეთაურობდა საპროტესტო დემონსტრაციას რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

სამხრეთი ვიეტნამი

მარიონეტი დახმარებას ითხოვს

ვაშინგტონი, 13 თებერვალი. (საკ.). საიგონის მარიონეტმა პრეზიდენტმა თხიეუმ სთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სამხრეთ ვიეტნამში გამოგზავნოს ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტები იმ ნახევარმილიონიანი საოკუპაციო არმიის გარდა, რომელიც იქ უკვე იმყოფება. ეს თხოვნა ცხადყოფს, თუ როგორ აშინებს გენერალთა ძირმომპალ რეჟიმს სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების სულ უფრო მზარდი განმთავისუფლებელი მოძრაობა.

იტალია

მინისძვრა სიცილიაში

რომი, 13 თებერვალი. (საკ.). გუშინ სიცილიის კუნძულზე აღნიშნეს 5-დან 7 ბალამდე ძალის კიდევ ოთხი მიწისძვრა ბიძგი.

მიწისძვრას მსხვერპლი და ახალი ნგრევა არ მოჰყოლია, რადგან ეპიცენტრი მდებარეობდა ზღვაში, სადაც უკვე პრაქტიკულად არც ერთი სახლი არ დარჩენილა დაუნგრეველი.

ახალგაზრდულთა მონოდება

ჰანოი, 13 თებერვალი. (საკ.). პირველი დივიზიის ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, რომლებიც მარიონეტული არმიიდან პატრიოტთა მხარეზე გადავიდნენ, რათა იბრძოლონ თხიეუ-კის ხროვის წინააღმდეგ, გამოაქვეყნეს მიმართვა იმ მარიონეტული ჯარების ოფიცრებისა და ჯარისკაცებისადმი, რომლებიც დისლოცირებული არიან კუანგ-ჩისა და თხიათხივნის პროვინციებში, აგრეთვე ქალაქ გუეში.

მიმართვაში, როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ითქმება რა სააგენტო „განთავისუფლებას“, გმობენ ამერიკელ აგრესორებს და თხიეუ-კის ხროვას სამხრეთ ვიეტნამის ამ ჩრდილოეთის პროვინციების მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულობათა გამო. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამერიკელ ოკუპანტთა და მათ საიგონელ დამქაშთა მდგომარეობა კრიზისული გახდა, ყველა ქალაქსა და სამხედრო ბაზას შეუტიეს რვეოლუციურმა ძალებმა. გუეს კონტროლს უწევენ აჯანყებულნი, ხოლო პირველი დივიზიის მომარაგების ერთადერთი გზა — დანანგ-გუეს გზა — პატრიოტებმა იგდეს ხელთ. აგრესორთა განკარგულებაში მყოფი ქალაქები და საყრდენი პუნქტები იზოლირებულია.

ჟეშინებულნი, გულგატეხილნი

ლონდონი, 13 თებერვალი. (საკ.). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლობითმა შეტევითმა მოქმედებამ მკვეთრად დასცა ამერიკელ ჯარისკაცთა მორალური სულისკვეთება. ამას წერენ ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთები. აი, მაგალითად, როგორ ახასიათებს ტანშონიატის სამხედრო-საჰაერო ბაზაში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების მდგომარეობას გაზეთი „დეილი მეილის“ საიგონელი კორესპონდენტი ანტონი კარტიუ: „ამჟამად ისინი გაოგნებული, დაშინებული და გულგატეხილი არიან შეტევების გამო. ამ ახალგაზრდა ამერიკელებმა ახლახან განიცადეს, შესაძლოა, უდიდესი მარცხი როგორც სამხედრო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თავისი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე“. ამერიკელი ჯარისკაცები, შენიშნავს კორესპონდენტი, „თვითონ არიან ლტოლვილები, რომლებიც განდევნეს ქალაქის არასაიმედო ბარაკებიდან შედარებით უშიშარ ტანშონიატის ბაზაში“.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „სუოტმენის“ სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავს, რომ სულ უფრო იზრდება სხვაობა ოფიციალურ ამერიკულ ვერსიასა და ვიეტნამის არსებულ მდგომარეობას შორის.

ოფიციალური წარმომადგენლებისთვის, შემდეგ ჯარისკაცებისათვის მოსმენა ბრძოლის ველზე, წერს მიმომხილველი, ნიშნავს იმას, რომ მოუსმინო ნაამბობს ორი სხვადასხვა ომის შესახებ.

სოლიდაროგას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს

პარიზი. საფრანგეთის მშვიდობის მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ შეაჯამა ეროვნულ კამპანიაში „ხომალდი — ვიეტნამს“ ამ ორგანიზაციის მონაწილეობის შედეგები. შეგროვდა 400.000 ფრანკი, ამას გარდა დიდძალი მედიკამენტები, ტანსაცმელი. ეროვნულმა საბჭომ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ საფრანგეთში გაძლიერდეს ბრძოლა „ეროვნული ხალხის მხარდაჭერის კამპანია.

ეროვნული საბჭო მოუწოდებს ყველა პარტიას, პროფკავშირსა და ორგანიზაციას, რომლებიც მხარს უჭერენ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, ერთად განსაზღვრონ მთელ საფრანგეთში მასობრივ მანიფესტაციათა მოწყობის თარიღი.

სტოკჰოლმი. აქ გაიმართა ვიეტნამში ამერიკის აგრესიის საწინააღმდეგო მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრაცია მიმდინარეობდა ლოზუნგით „ამერიკის შეერთებული შტატები — გაეცალე ვიეტნამს!“, „გაუწყვიტეთ ურთიერთობა საიგონთან, ცნეთ ჰანოი!“.

სტოკჰოლმის ქუჩებში დემონსტრანტები გაიძახოდნენ: ამერიკა მკვლელია, განთავისუფლების ეროვნული ფრონტი — გამარჯვებული“.

კაირო. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა ეროვნულმა საბჭომ მოუწოდა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მხარი დაუჭირონ გმირ ვიეტნამელ ხალხს და გადაჭრით დაგმონ ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი მოქმედება ვიეტნამში.

ეროვნული საბჭო აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში მხურვალედ მიესალმება პატრიოტთა-გამარჯვებულებს.

ვაშინგტონი. დემოკრატმა სენატორმა ჯოზეფ კლარკმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სვიეტნამი პოლიტიკა, რომელსაც „ამორალური“ უწოდა. ამერიკელებს უფლება არა აქვთ ვიეტნამში იყვნენ, იქ არაფერი ესაქმებათ, თქვა მან.

სამხრეთ ვიეტნამში ამასწინანდელმა საინსპექციო მოგზაურობამ სენატორი დაარწმუნა, რომ სამხრეთ ვიეტნამის სოფლების ეკრეთწოდებული „დაშოშმინების“ ამერიკული პროგრამა ჩაიფუშა. ამავე დროს საიგონის რეჟიმს არავინ უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამში, მის არმიას კი არა აქვს ბრძოლის უნარი. კლარკმა ხაზი გაუსვა, რომ გათავისუფლების ეროვნული ფრონტის ძალების ამასწინანდელი შეტევითი ოპერაციები სრულიად მოულოდნელი იყო ამერიკელებისათვის. პარტიზანებმა, მისი აზრით, წარმატებას მიაღწიეს მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერის მეოხებით.

კლარკმა მოითხოვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამორჩილება შეწყვეტა. (საკ.).

გზრ. ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაცია გამართა რამდენიმე ასეულმა სტუდენტმა მაინის ფრანკფურტში ამერიკის გენერალური საკონსულოსა და ამერიკის „კულტურული ცენტრის“ შენობის წინ. დემონსტრაციის გასაფანტავად პოლიციამ წყალსაფრქვევები გამოიყენა, დემონსტრანტების წინააღმდეგ ცხენოსანი პოლიციაც გამოიყენეს.

• • •

სურათზე: პოლიცია უსწორდება დემონსტრაციის მონაწილეებს.

ტელეფოტო იუპი-საკ.

„პუებლოს“ კაპიტნის ახალი აღიარება

ფხენიანი, 13 თებერვალი. (საკ.). ამერიკის ჯაშუშური ხომალდ „პუებლოს“ კაპიტანმა ლოიდ მარკ ბიუჩერმა კვლავ აღიარა, რომ მისი გემი დაიკავეს მაშინ, როცა ჯაშუშობდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპირო წყლებში.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს მიერ გავრცელებულ ბიუჩერის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაპირის მახლობლად მიმოსვლის დროს მისი ხომალდი, რომდენადაც ეს შესაძლებელი იყო, უახლოვდებოდა გემებს და უღებდა ფოტოსურათებს. „ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპიროსთან მდებარე სამხედრო ობიექტები... მე ვაპირებდი დაახლოებით ორი დღე ყოფილიყავი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპირო წყლებში ჩხონჯინის, სონჯინის, მაიანდოსა და ვონსანის კუნძულების რაიონებში., ესე იგი ამ რაიონებში, რომლებიც ჩვენთვის ყველაზე მეტად იყო საინტერესო“, — თქვა ლ. მ. ბიუჩერმა.

„ვაპირებდი შემოვმედა სონჯინის ნავსადგურის მახლობლად, რათა შემეკრიბა ინფორმაციები საზღვაო კომუნიკაციების შესახებ და თვალი მეადევნებინა კორეის სახალხო არმიის ახალი რადარული დანადგარებისათვის“, — განაგრძო მან. „ეე ვბრძანე ზუსტად ეცნობებინათ ჩემთვის იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება მდგომარეობა ამ მიმართულებით და როგორია ჩვენი ადგილსამყოფელი“.

„სავსებით შეგნებული მაქვს, თუ რა სერიოზული სასჯელი მომელის ჯაშუშური საქმიანობისთვის, — თქვა ფასსრულ ბიუჩერმა. — მაგრამ ძალიან ვნანობ ამას და იმედი მაქვს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გამოიჩენს შეწყნარებლობას და გვაპატიებს მე და ჩემს ეკიპაჟს, ამასთან ნებას ვიძლევთ ამ ადგილებში ერთ-ორ ადამიანს ჩვენს ოჯახებს“.

ვინა ხართ თქვენ, ბრუნო ტრავენ?

ვინ იმალება მწერლის სახელით?

„...აბსოლუტურად არ მესმის, რატომ ტეხენ ასეთ ხმაურს მწერლის გარშემო. მე მხოლოდ მუშაკი ვარ, ისეთივე, როგორც ყველანი. მე მოვალე ვარ წიგნების ვწერდე, ისევე, როგორც მოვალე ვიქნებოდი პური მომეცვალა, ჩემი წიგნებისათვის ქაღალდი მეწარმოებინა.

უნდა ვთქვა, რომ უფრო მნიშვნელოვანი როდი ვარ, ვიდრე სტამბის მუშა, რომელიც ჩემი წიგნის აწყობაზე მუშაობს, ვიდრე შემფუთავი ქალი ან ჩემი წიგნების ამკინძავი.

მათი დახმარება და თავდადებული შრომა რომ არა, მკითხველები ვერ მიიღებდნენ ამ წიგნებს, რა საუცხოოდაც უნდა ყოფილიყო ისინი დაწერილი“, — განუცხადა თავის გამომცემლებს ჩვენი დროის ერთ-ერთმა ყველაზე გახაოცარმა მწერალმა ბრუნო ტრავენმა.

ბრუნო ტრავენი მთელ მსოფლიოში ცნობილი მწერალია. და ამავე დროს მას არავინ არ იცნობს. მის რომანებსა და მოთხრობებს, ამბებსა და ნოველებს გატაცებით კითხულობდნენ თითქმის ყველა ქვეყანაში — ისინი 500-ჯერ და მეტად ჯამოიცა მსოფლიოს ხალხთა 36 ენაზე. მისი წიგნები მრავალ ათეულ მილიონ ეგზემპლარად გამოვიდა.

ტრავენის შემოქმედებას საბჭოთა მკითხველებიც იცნობენ. 30-იანი წლების ბოლოს რუსულ ენაზე გამოვიდა მისი რომანები „ბამბის მკრეფავები“, „ჩამოტრიბილთა აჯანყება“, „სიერა მადრეს საუნჯე“, „წყეული ოქრო“. 1959 წელს „დიტგიზმა“ გამოუშვა რომანი „ლაშქრობა კაობას ქვეყანაში“. ჟურნალ „მოსკოოდაია გვარდიას“ 1965 წლის სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია მისი ნოველა „ელვა-ჭექის ქალღმერთი“. მაგრამ იმათგან, ვინც კითხულობს ტრავენის წიგნებს და აღტაცებულია მწერლის შემოქმედებით, ვერავინ ვერ ჯიბასუხებდა კითხვაზე: ვინ იმალება ამ სახელით.

მთელ მსოფლიოში ცნობილი მწერალი დღემდე უცნობ პიროვნებად რჩება. გამოცანას წარმოადგენს იგი სპეციალისტებისთვისაც — კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეებისთვის. მკვლევრები გულმოდგინედ არჩევენ მის წიგნებს, ცდილობენ მიაგნონ თუნდაც რაიმე ძაფს, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ ეპოვნათ პასუხი. ერთი სენსაციური „გამოცნობა“ მეორეს წარმოშობდა. გამოჩნდა მტკიცებანი, რომ „ნაუკუნის გამოცანა“ როგორც იქნა გადაჭრილია. ასეთი მტკიცებანი კი 24 იყო — არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ ყველა ისინი უდღეური აღმოჩნდა. თვითეული სენსაცია მხოლოდ მორიგი სენსაციის გამოჩენამდე ძლებდა.

და მაინც მთა შორის ერთი აღმოჩნდა ყველაზე „გამძლე“. იგი ეკუთვნოდა ლაიპციგელ ლიტერატურათმცოდნეს როლფ რეკნაგელს.

გერმანიაში 1919 წლის ბავარიის ხანგოთა რესპუბლიკის პერიოდის ლიტერატორის შესწავლისას იგი წააწყდა გერმანელი ჟურნალისტის რეტ მარუტის რამდენიმე სტატიას, რომელთა ლიტერატურული სტილი მას ტრავენის სტილის მსგავსი ეჩვენა. როგორც მნახველნი გადმოგვცემენ, მარუტი ყოველთვის ჯარმოსილი იყო ერთგვარი იოომალებით. უკვე მაშინ იგი თავის ნაწარმოებებს ფსევდონიმით აქვეყნებდა და აცხადებდა: „ოდნავაც არა მაქვს ლიტერატურული პატიმოყვარეობა... მინდა მხოლოდ სიტყვა ვიყო“.

რეკნაგელმა დამარცხების შემდეგ რეტ მარუტი სამუდამოდ გაქრა გერმანიიდან. რეკნაგელმა რეტ მარუტისა და ბრუნო ტრავენის ნაწარმოებთა შედარებითი ანალიზი გააკეთა და ბევრი რამ საერთო აღმოაჩინა მათს სტილში. მან ერთმანეთს შეადარა და გამოაქვეყნა რეტ მარუტისა და ბრუნო ტრავენის ფოტოსურათები, რომლებიც თითქოს უცილობლად ამტკიცებდნენ მათს იგივეობას. და მაინც, მიუხედავად ასეთი საბუთისა, ეს ვერსია საბოლოო არ არის.

მაშ მაინც ვინ არის ტრავენი?

ამას წინათ მექსიკის უურნალ „სიემპრეში“ დაიბეჭდა მისი კორესპონდენტის ლუის სუარესის ინტერვიუ „...თვითონ ტრავენთან. და აი რა შეიტყო რეპორტიორმა თვით მწერლის ნაამბობიდან.

ტრავენი დაიბადა 1890 წელს ჩიკაგოში, ღარიბი მუშის ოჯახში, სადაც გეიარა მომავალი მწერლის ბავშვობის წლებმა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მშობლებთან ერთად ევროპაში გადადის და გერმანიაში სახლდება. იქვე გამოდის მისი პირველი წიგნი „მკვდრების ბომბალდი“, რომელმაც კრიტიკოსთა ყურადღება მიიპყრო. მკითხველებიც დაინტერესდნენ მწერლით. მაგრამ მწერლის პირადი ცხოვრება საიდუმლოებად რჩებოდა. პირველი წიგნის გამოსვლის დღეს ავტორმა აგრძნობინა გამომცემელს, რომ ამჯობინებს ისე იმუშაოს, რომ მას სრულებით არავინ იცნობდეს.

ის ფაქტი, რომ ტრავენის პირველი წიგნი გერმანიაში გამოვიდა და რომ იგი ერთხანს ამ ქვეყანაში ცხოვრობდა, იმის მიზეზი გახდა, რომ მას დიდხანს გერმანელად თვლიდნენ. მაგრამ თვითონ მწერალი უარყოფდა ამას. თავის წერილში, რომელიც 1966 წელს ამერიკელ გამომცემლებს გაუგზავნა, მან განაცხადა: „მინდა აღვნიშნო — ევროპაში გაკეთებულ სხვადასხვა განცხადებაში არაერთხელ მითქვამს, რომ გერმანელ ერს არ ვეკუთვნი. ჩემი წიგნების გერმანულ გამოცემათა რედაქტორებმა ეს ჩვენი საქმიანი ურთიერთობის პირველი ღღეებიდანვე იცოდნენ, იცოდნენ, რომ მე დაბადებული ვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

მწერალი კიდევ ერთ დაზუსტებას აკეთებს: „მინდა შევნიშნო, რომ ჩემი სახელი არ არის ბრუნო. არა. ეს სახელი მხოლოდ მოცლილ კრიტიკოსთა და ჟურნალისტთა გამონაგონია... ჩემი სახელი კი არის ტრავენი, ხოლო გვარი — ტორსვანი...“

მაშ ასე, ბრუნო ტრავენი კი არა, ტრავენ ტორსვანი, და გერმანელი კი არა, ამერიკელი?

მაგრამ ტრავენ ტორსვანის პასპორტში აღნიშნულია, რომ 1950 წლიდან იგი მექსიკელი მოქალაქეა.

მექსიკაში კი იგი გაცილებით უფრო ადრე ჩავიდა. პირველ წლებში გაუბედრდა. ცხოვრობდა ჯუნგლებსა და უდაბნოებში, მექსიკის ქალაქებსა და ნავსადგურებში. შეისწავლიდა ამ ქვეყანას, მის მცხოვრებლებს, ზნე-ჩვეულებას. „ვისაც სურს შეიცნოს დაბურული ტყვრებისა და ჯუნგლების სული, — ამბობდა მწერალი, — მათი ცხოვრება და სიმღერები, მათი სიყვარული და მძაფრი სიძულვილი, მეხიკოს რეჯის-ოტელში კი არ უნდა ცხოვრობდეს, ჯუნგლების სიღრმეში უნდა მიდიოდეს, უყვარდეს ისინი, დაუნათესავდეს მათ“.

ტრავენისათვის გასაგები იყო უბრალო ინდიელთა, სეზონურ მუშათა, მექსიკელ გლეხთა ცხოვრება. მწერალი გვოძს ტირანიას, რასიზმს და გვიჩვენებს, რა გმირულად „იბრძვის მექსიკელი პროლეტარი-ინდიელი თავისი განთავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ მზის შუქზე ვამოაღწიოს“. და მკითხველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ის სიმპათია, რომლითაც მოგვითხრობდა მწერალი უბრალო მექსიკელებზე. ტყუილად კი არ იყო. რომ მექსიკის ერთი პროგრესული ჟურნალი

ჩვენს ყველა-ჟურნალში

მზატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ბედმა გაუღიმათ...

თელავი. (საკ. კორ.). რაიონულ შემნახველ სალაროში თელავის სარემონტო კანტორის უფროსმა ე. ბუხნიკაშვილმა ავტომოტოლატარიის ბილეთი ჩარადგინა, რომლითაც მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მოიგო.

ხაჩხერი. ავტომოტოლატარიის მეორე გამოშვების № 24492 ბილეთს, რომლის მფლობელია სოფელ ჭალის მცხოვრები ს. გოგავა, 1.250 მანეთად ღირებული მოტოციკლი ხვდა მოგებად.

ა. ანასაშვილი.

მაზარაძე. (საკ. კორ.). იღბლიანი ბილეთი შეხვდა სოფელ ბოხვაურის მცხოვრებ ზ. კობალავას — მეორე ავტომოტოლატარიის № 388541 ბილეთით მან ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო, ხოლო ლუდის ქარხნის მუშას ა. ჯავახაძეს № 233745 ბილეთით ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ხვდა.

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიასახლისმა თ. დათიაშვილმა ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ჩარადგინა ავტომოტოლატარიის მეორე გამოშვების 558 თანრიგის № 343388 ბილეთი, რომელსაც მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ ხვდა მოგებად. ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მოიგეს აგრეთვე პ. ტყემელაშვილმა და თ. ფურცელაძემ.

მოტოციკლების მფლობელები გახდნენ ქუთაისელი მოქალაქეები თ. გეწაძე, ნ. სტეპანენკო, ს. ჯინჯიხაშვილი, გ. გეგნინაშვილი, ა. ელიგულაშვილი, ო. გოგობერიშვილი, კ. მანანია, ზ. იაკობაშვილი, ა. დავითაშვილი და ა. ჩაჩავილი.

„საქართველოს აგიტატორი“ № 3

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „**საქართველოს აგიტატორის**“ მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **ზ. ანაშვილი** — დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე; სახელოვანი ორმოცდაშვიდი წელი; **კ. დოლიძე** — ვამრავლოთ იუბილესთვის მზადების პერიოდში შენელი გამოცდილება; **ნ. ცხაკაია** — საწარმოს პარტორგანიზაცია — იდეურ-პოლიტიკური მუშაობის სათავეში; **ნ. ებანოიძე** — მშრომელთა მოთხოვნების გათვალისწინებით; პოლიტინფორმატორთა სპეციალიზაცია, მათი სწავლება; **ი. ოგოშვილი** — საბჭოთა პატრიოტიზმი.

ტურისტები ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო ზამთრის ტურისტული სეზონი. სამი საკავშირო მარშრუტით ქუთაისს უკვე ეწვია 600-ზე მეტი ტურისტი. ისინი ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, როსტოვიდან, ალმა-ატიდან, ნოვოსიბირსკიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

ტურისტთა ჯგუფებში მუშა-მოსამსახურეებთან ერთად არიან კოლმეურნეები.

ქუთაისის ტურისტული ბაზა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ზამთრის სეზონს. კაპიტალურად შეკეთდა საძინებელი კორპუსი და სასადილო. ტურისტთა განკარგულებაშია შვიდი კომფორტაბელური ავტობუსი.

წელს ქუთაისს 30 ათასამდე ტურისტი ეწვევა.

სურათზე: სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სოხუმის ინსტიტუტის ტერიტორიის ერთ-ერთი კუთხე (შესასვლელი).

ფოტო მ. ტარასოვისა.

სტიქიაზე ძლიერნი

გვწერენ მამაც ადამიანებზე

ნოწარი — ასე უწოდებენ კავკასიონის მთის სამხრეთ კალთაზე მდებარე ადგილს. აქ ონის რაიონის სოფელ ჭიორის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში არაფერი ისმოდა ფერმიდან (სამმე ის არის, რომ თოვლმა, რომლის სიმაღლე ორ მეტრზე მეტია, ჩაკეტა ფერმაში მისასვლელი გზა). ელოდნენ ჭიორელები. არავინ იცოდა, რა ბედი ეწია ფერმის მომსახურე პერსონალს — ფერმის გამგეს გ. რეხვიაშვილს, მწყემსს ა. რეხვიაშვილს და მწყველავ ქალს ზ. რეხვიაშვილს.

როგორც ყოველთვის, სიძნელესთან შეჭიდების მსურველი კვლავ კომუნისტთა რიგებში გამოჩნდა. სოფლის მკვიდრმა, პარტიის წევრმა ი. რეხვიაშვილმა ითავა ნოწარში წასვლა. მას მხარში ამოუდგა კოლმეურნე ა. რეხვიაშვილი. უშიშარმა ადამიანებმა წნელისაგან საგულდაგულოდ მოწნეს მოგვალი თხილამურები და 28 იანვარს დილით გზას გაუდგნენ და აი ორი მამაცი ჭიორელი სტიქიაზე ძლიერი აღმოჩნდა — ისინი საღამო ჟამს ფერმაში იყვნენ.

სასიხარულო იყო მათი შეხვედრა. ფერმის მუშაკებმა დაწვრილებით გამოკითხეს სოფლის ამბავი, მოიკითხეს ოჯახის წევრები და აღნიშნეს, რომ ფერმაში, ყველაფერი რიგზეა — საკვები ბლომად აქვთ, პროდუქტიული პირუტყვი თავს კარგად გრძნობს, ძიტულობს საკოლმეურნეო დოვლათი.

ვ. ციბამკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ე. ლ. გვარამაძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **ელენე ლევანის ასულმა გვარამაძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ს ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „**ქართული ხალეკვაო ფოლკლორი**“ (დადგენა და განვითარება).

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ე. ლ. გვარამაძისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ნეპტუნის სამზარეულო

სხვადასხვა პროდუქტით დატვირთული ორმოცი ავტომანქანაა საჭირო იმისათვის, რომ დავაპროსოთ ჩვენი ქვეყნის უდიდესი საზღვაო ლაინერის „**სოვეტსკი სოიუზის**“ ერთი რეისის მგზავრები.

„ჰირდაპირ თითებს ჩაიკვნეტავ“, — ასე ამბობენ სტუმრები გემის რესტორანის საჭმელებზე.

„ნეპტუნის სამზარეულოში“ სამოცზე მეტი კერძი, სხვადასხვა ხალხის ეროვნული საჭმელებია. კულინარებს ყველაზე კარგად გამოუდით საზღვაო ფირმული კერძები — ტრეპანგის ჩინებული სალათა, ორცხობილებში შემწვარი კალმარი, მოშუშული ზღვის სავარცხელი, რომელიც გემოთი თეთრ სოკოს წააგავს, შორეულაღმოსავლური ორაგულის შესანიშნავი ლაბასხმული „ოჭროს თევზი“.

იმათ, ვისაც ზღვით უმოგზაურია ვლადივოსტოკიდან კამჩატკის პეტროპავლოვსკამდე, კარგად იციან მზარეულების ზ. პოდლიპსკაიას, ვ. ბოროდულინის, ს. ნოგინის, უფროსი ხაბაზის ი. ზარქუას, მეშაქარლამის გ. დერიგინის კერძების გემო. „სოვეტსკი სოიუზის“ კულინარებმა მოიპოვეს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საპატიო სიგელი. (საკდესი).

ცნობისმოყვარეთათვის

„ბაუბლისი“ — მუზეუმი ფუღუროში

„ბაუბლისი“ — ასე უწოდებს ხალხი მუზეუმს, რომელიც გოლაითი ბერმუხის ფუღუროებში მოაწყო XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის ლიტველმა პოეტმა ფიონიზას პოშკამ.

1812 წელს პოეტმა თავის მამულში გადაიტანა ქვეა ნაწილი მკვდარი ათასწლოვანი ხისა, რომლის გარშემოწერილობა ცხრა მეტრს აღემატებოდა. პოეტმა გააფართოვა ფუღუროო და მასში დაიწყო არქეოლოგიური ნაპოვნების, ეთნოგრაფიული ექსპონატების, ძველებური ხელნაწერების შენახვა. ასე შეიქმნა ლიტვაში მხარეთმცოდნეობის პირველი მუზეუმი.

ფ. პოშკამ გააფართოვა მუზეუმი. და პირველი გიგანტური კუნძის გვერდით მეორე დადგა. „ბაუბლისმა“ გასულ საუკუნეშივე ფართოდ გაითქვა სახელი. ადამ მიცკევიჩმა აღწერა იგი პოემაში „პან თადეუში“.

ახლა ყველა, ვინც შილალის რაიონში ჩადის, აუცილებლად შეიკლის „ბაუბლისში“. არქიტექტორებმა ამ რელიკვიის დასაცავად კედლებს ზემოდან დაუშენეს ორი მინის სახლი.

ვ. მაიძეიუსი.

ვილნიუსი.

გიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი

ვერცხლისა და ბრინჯაოს დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იტყვიან, ნავი გატეხეს. თუ აქამდე ჩვენს მოთხილამურეებს ბედი არ სწყალობდა, ყინული დაიძრა, წარმატებას წარმატება მოსდევს, ამბავი მედლების რიცხვმა. ლიუდმილა ტიხონოვას შემდეგ ვერცხლისა და ბრინჯაოს პირველი მაბარობლები ჩვენი ბიატლონისტები ა. ტიხონოვი და ვ. გუნდორცევი იყვნენ.

გუშინდელი ოლიმპიური პროგრამიდან ერთ-ერთ წამყვან ასპარეზობად ოტრანის შეჯიბრება ითვლებოდა. აქ დილიდანვე თავი მოიყარეს 5 კილომეტრის გადარბენაში მონაწილე მოთხილამურე ქალებმა. ესენი იყვნენ შვეიცის, სსრ კავშირის, ნორვეგიის, ფინეთის, ჰოლანდიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, სულ 34 სპორტსმენი. საბჭოთა კავშირიდან ჩვენი ქვეყნის სპორტულ ლირსებას იცავდნენ — ალევტინა კოლჩინა, რიტა აჩკინა, ალევტინა სმირნოვა და გალინა კულაკოვა.

სპორტსმენები სტარტს ყოველი ნახევარი წუთის შემდეგ იღებდნენ. საბჭოთა მოთხილამურეებიდან ყველაზე ადრე ბრძოლაში ჩაება ა. სმირნოვა (№ 5). რ. აჩკინა გამოდიოდა მე-17 ნომრით, ა. კოლჩინა 24-ე ნომრით, გ. კულაკოვა — 27-ე ნომრით. დისტანციაზე შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. ცხადი გახდა, რომ გ. კულაკოვა, ა. კოლჩინა და რ. აჩკინა საპრიზო ადგილებს უმიზნებდნენ. ერთ ფინიშს მეორე მოჰყვა, დაამთავრეს ასპარეზობა ჩვენმა მოთხილამურეებმაც, ყველაზე უკეთესი დრო — 16 წუთი და 48,4 წამი გ. კულაკოვას ჰქონდა და წარმატებასაც მას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ აი უკანასკნელ 34-ე ნომრად ფინეთისაკენ უდიდესი სისწრაფით მოჰქროდა შვედი მოთხილამურე, უკვე ერთი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ტ. გუსტავსონი, რომელმაც უკეთესი დრო — 16 წუთი და 45,2 წამი აჩვენა, ვიდრე გ. კულაკოვამ და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ეს ტ. გუსტავსონის მეორე ოქროს მედალი იყო.

გ. კულაკოვამ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ა. კოლჩინამ — ბრინჯაოსი (16 წუთი და 51,6 წამი).

გუშინ პაექრობა ჰქონდათ აგრეთვე ფიგურულ მოციგურავე ვაჟებს სავალდებულო პროგრამით და სპეციალური სლალომის მონაწილე ქალებს.

ფიგურულ ციგურაობაში, როგორც მოსალოდნელი იყო დაწინაურდნენ ავსტრიელი სპორტსმენები ე. დანცერი და ვ. შვარცი. მესამე ადგილზეა საფრანგეთის წარმომადგენელი პატრიკ პერრა. სპეციალურ სლალომში უძლიერესი იყო ფრანგი სამთო მოთხილამურე ვ. გოიჩელი.

* * *

სურათზე: ზევიდან — ოლიმპიური პრიზიორები სათხილამურო გადარბენაში 5 კილომეტრზე ქალთათვის **გ. კულაკოვა** და **ა. კოლჩინა.**

დიდი ჰოკეი დაიწყო

თუმცა ჰოკეისტთა ოლიმპიურ ტურნირში 8 ნაკრები გამოდის, მაგრამ სპორტული ადგილების მთავარ პრეტენდენტებად მხოლოდ ოთხს — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და კანადის გუნდებს თვლიან. მეოთხე ტურის უკანასკნელ მატჩში შვედებმა დაამარცხეს ფინეთის გუნდი — 5:1 და ლიდერთა ჯგუფში განიმტკიცეს პოზიცია.

გუშინ დაიწყო ოქროს მაძიებელთა გადამწყვეტი მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან ლიდერები. სწორედ ამ კვარტეტის შეხვედრებმა უნდა გადაწყვიტოს პირველობის საკითხი. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობდა სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრებთა მატჩი. წარმატება საბჭოთა ჰოკეისტებს ხვდათ 3:2.

მეორე შეხვედრა კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის გაიმართა გვიან საღამოს.

აი როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	5	5	0	0	39-5	10
ჩეხოსლოვაკია	4	4	0	0	24-8	8
შვეიცია	5	4	0	1	21-13	8
კანადა	4	3	0	1	22-8	6
აშშ	5	1	0	4	16-23	2
ფინეთი	4	1	0	3	9-19	2
გფრ	5	0	0	5	8-33	0
გდრ	4	0	0	4	5-35	0

გუნდები და ქულები

გრენობლის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა ფინეთს უასლოვდება. ქულათა არაოფიციალური ჩათვლით 15 სახეობის შემდეგ წამყვანი გუნდების მდგომარეობა ასეთია:

ფინეთი — 38,5 ქულა
ავსტრია — 38 ქულა
ნორვეგია — 35,5 ქულა
სსრ კავშირი — 32 ქულა
ჰოლანდია — 31 ქულა
საფრანგეთი — 29 ქულა
აშშ — 29 ქულა
იტალია — 19 ქულა
შვეიცია — 17 ქულა
ჩეხოსლოვაკია — 14 ქულა
შვეიცარია — 14 ქულა
გფრ — 12 ქულა
გდრ — 9 ქულა
რუმინეთი — 4 ქულა
პოლონეთი — 4 ქულა
დიდი ბრიტანეთი — 3 ქულა
უნგრეთი — 1 ქულა

გრენობლის აფიშა

14 თებერვალი

ზამთრის ოლიმპიადის მეცხრე დღეს ყველაზე ადრე (10 საათი თბილისის დროით) სავალდებულო პროგრამით ასპარეზობაში ჩაებმებიან ფიგურული მოციგურავე ვაჟები. ამავე დღეს 11 საათსა და 15 წუთზე სტარტი მიეცემა სათხილამურო ეტაპებს ვაჟთათვის 4X10 კილომეტრზე. ბრძოლაში ჩაებმებიან აგრეთვე ჩეკოსლოვაკელი მოციგურავე ვაჟები. სპრინტერთა (500 მეტრი) პაექრობა დაიწყება 13 საათზე. სლალომისტ ვაჟებს შესარჩევი შეხვედრები ექნებათ — 15 საათზე. ჰოკეისტთა მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან გდრ-ისა და ფინეთის გუნდები — 19 საათი. ბობსლეისტთა ასპარეზობა დაიწყება 21 საათსა და 30 წუთზე, ნებისმიერი პროგრამით ფიგურისტ წყვილთა შეჯიბრება — 23 საათზე.

ციხეზერი ეჯრანით

ესტაფეტა 4X10 კილომეტრზე თხილამურებით — 11 საათსა და 15 წუთზე. ფიგურული ციგურაობა — 23 საათსა და 35 წუთზე.

ბრაზილიელთა იმედები

„თუმცა პელე უარს აცხადებს ითამაშოს ნაკრებში, მაგრამ ჩვენ მაინც ვაპირებთ ბრაზილიური ფეხბურთის პრესტიჟის აღდგენას“, — განაცხადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ახლანდელმა მწვრთნელმა **ჰიმორე მორეირამ.**

ახლა ბრაზილიელები საგანგებოდ ემზადებიან ევროპაში გასტროლებისათვის, რაც ივნისში უნდა გაიმართოს. სპეციალურმა კომისიამ **ალელეუის, ალმეი